# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვირგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 116
წელიწადი მეორე
1913
შაბათი, 3 აგვისტო.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.



ელექტრო-თეატრი „რადიუმი"
1, 2, 3, და 4, აგვისტოს 1913 წ.

პატე ჟურნალი.
ჯოჯოხეთის ხეობა
დრამა 3 ნაწ. კატორღელების ცხოვრებიდან.

სამიჯნურო ზარათი
დიდი კომედია ყველას და ყველგან საყვარელის მაკს ლინდენის მონაწილეობით.

პროგრამის გარეთ:
მხიარული მონა-ქალები—მონანი შრომისა,
დრამა 2 მოქმ.

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

**იმერეთი**

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 3 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"
სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

ქუთაისი.
პაიებზე დამყარებული ამხანაგობა
კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი.
გაზაფხულისა
და ზაფხულის სეზონი
ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩეჩუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.
პოპლინი, მესალინი, ქივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო", პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

თ. ა. მთავრიშვილის
წიგნის მაღაზია
აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს
დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,
რომელნიც იხმარება ქალაქ ქუთაისის და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.
ფასები საკმაოდ დაკლებულია.
მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები და სხ., რასაც ძალიან დაკლებულ ფასათ დაუყონებლივ მივაწვდით გოკიელის საკანცელარიო მაღაზიიდან.
მისამართი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

იყიდება მხოლოდ ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, თფილისში
კანონი
გლეხთა სოფლელთა და მემამულეთა შორის დროებით ვალდებულ და დამოკიდებულ ურთიერთობის მოსპობისა ნადელის დახსნითა და შეძენით საკუთრებათ, მთავრობის დახმარებით, თფილისის, ქუთაისის, ერევნის, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში.
ВРЕМЕННАЯ
инструкція должностнымъ лицамъ и учрежденіямъ по приведенію въ исполненіе Закона 20 декабря 1912 г.

ქ. ქუთაისში.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
გ. გ. გოკიელიშვილისა.
კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით. (გიმნაზია, სამოქალაქო და სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში.
(თფილისის ქუჩა, სახლი ბარქაიასი.)

ახალი წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელისა
ქუთაისში ალექსანდრეს ქუჩაზე ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა
უდიდესი
წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.
ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტათ მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.
ახალ მაღაზიას სურს შეამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით. ამაზე ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.
ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდი მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი მეტად იაფათ.

თფილისის მეორე რვაკლასიანი
კომერციულ სასწავლებლის ადმინისტრაცია ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ განყოფილებაში
და 1, 2, 3, 4, 5, და 6 კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდან.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პირველ კლასში მიიღებიან | 10—12 წლ. | მეოთხეში | „ | „ | 13—16 წლ. |
| მეორეში „ „ | 11—14 „ | მეხუთეში | „ | „ | 14—17 „ |
| მესამეში „ „ | 12—15 „ | მეექვსეში | „ | „ | 15—18 „ |

ადრესი: პანასევიჩის ქუჩა, № 38.

შინაგან სნეულებათა ა ქ ი მ ი
ნიკ. ივ. შენგელია. მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

აქიმი ი. ჩარექოვი
ხუთ ივნისიდან მიიღებს კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.
გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

დაიკარგა
კირილე დავითის ძის ქავჟანიძის უვადო პასპორტის წიგნაკი 1912 წ. 12 თებერვლის თარიღით, № 122. დაკარგულია იარაღის მოწმობაც სურათით. მპოვნელს ვსთხოვ ა. გვიჩიას მაღაზიაში მიიტანოს.

ქირავდება
ერთი ოთახი მეორე ატაჟაზე ბალახვანის ქ. სახლი პ ბოჭორიშვილის მსურველს შეუძლია მიმართოს იქვე ეზოში.

იყიდება
ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.
მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

ა ქ ი მ ი კ. თ. ტუშელაშვილი.
ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი ვენერიული კანის) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

აქიმი ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

გაზეთი „იმერეთი" იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთან, იქვე მიიღება ხელისმოწერაც.


## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ქ. ქუთაისში მოვაჭრე ამროსი ხვინგია თავის სავაჭროში გაზ. „იმერეთის" ხელის მომწერლებს სთხოვს რომელსაც არა აქვთ პირველ იანვრიდან გაზეთის დასაკვეთი ფული შემოტანილი დაუყონებლივ შემოიტანონ წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

## დ ღ ი უ რ ი.

შვეიცარიის ქ. ციურიხში გარდაიცვალა გულის ფრიალისაგან გამოჩენილი სოც. დემ. ავგ. ბებელი.

— საფრანგეთი დაეთანხმა რუსეთს, რომ ბუქარესტის კონფერენციის დადგენილებანი ხელმეორეთ გაიხილონ.

— გერმანია ბულგარეთსა და ოსმალეთ შორის ფრაკიისა და ადრიანოპოლის თაობაზე შვამავლობას კისრულობს.

— რუსეთმა სთხოვა საფრანგეთს—ოსმალეთს ფული არ ასესხოო.

— ბულგარეთში სამხედრო ლიგა შესდგა, რომელიც დინასტიის წინააღმდეგ ჯარის დათხოვის გამო, აგიტაციას ეწევა.

— ვენის გაზეთებში სწერია: სოფიაში ეპირებიან სამხედრო რევოლუციის მოხდენასა და კობურგების დინასტიის ტახტიდან ჩამოგდებას.

— ბუქარესტის ხელშეკრულობის გამო, ბულგარეთმა დიდი სახელმწიფოებს პროტესტი განუცხადა.

— თავი მოიწამლა მესამე სათათბიროს თავჯდომარემ ხომიაკოვმა. ხომიაკოვი საშიშ მდგომარეობაშია.

— მეფე ფერდინანდმა ჯარის დემობილიზაციის შესახებ ბძანება გამოსცა.

— მიუხედავათ რუსეთისა და ავსტრიის პროტესტისა ბუქარესტის კონფერენციის დადგენილებებს არ განიხილვენო.

— საფრანგეთმა ოფიციალურათ განაცხადა,—საზონოვს არ მოუმართავს ჩვენთვის, რომ კავალას საკითხში მხარი დაგვეჭირა, თვარა მის სურვილს დავაკმაყოფილებდითო.

— ციმბირის კოოპერატივებს განზრახვა აქვთ გერმანიის კოოპერატივების კავშირში ჩაეწერონ.

— პეტერბურგში ობრუხოვის ქარხნის 5 ათასი მუშა გაიფიცა.

— მუკდენის მთავრობამ იაპონელებსა და მათ საქონელს ბოიკოტი გამოუცხადა.

## ქუთაისი, 3 აგვისტო.

წინა წერილში ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცებია, რომ ის ხარჯი, რომელსაც საზოგადოება ეწევა მაღალ სწავლა მიღებულ პირთა გასამრავლებლათ არა რაციონალური, უნაყოფოა, პირიქით დიდი ზარალიც მოაქვს, რადგან დიპლომიანებს შემოაქვსთ ჩვენში რუსული აზროვნება, რუსული კულტურა. როცა ამ სიტყვებს ვსწერთ, ნურვის გონია, რომ ჩვენ პრინციპიალური მოწინააღმდე ვიყოთ ან რუსეთისა ან დასავლეთ ევროპის კულტურისა, და ან ჩვენი ხალხის გაევროპიელების გზაზე დადგომისა. ჩვენის ღრმა რწმენით, საქართველოს განახლება და გაძლიერება მისი წარმატება იმაზეა დამოკიდებული—შევითვისებთ თუ არა ამ

ჟამით ევროპაში დამყარებულ წყობილებას, შევალთ ჩვენ ევროპიელ ერთა ოჯახში თუ ვერა...

სულ სხვა თვისებისაა ის კულტურა, რომლის მატარებლათ ჩვენში, რუსეთში სწავლა მიღებული ინტელიგენცია გამოდის. აქ რუსეთის კულტურა არსებობს არა ისე, როგორც ჩვენი ეროვნული კულტურის ბუნებრივი განვითარება, როგორც მასზე დამყარებული რამ, აქ რუსის კულტურას ქართულის ადგილი დაუჭერია, მის მაგივრობას ეწევა:—რუსული წიგნი ქართულის მაგიერ, რუსული გაზეთი ქართულის ნაცვლად, რუსული თეატრი რუსული ლაპარაკი ქართულის წილ!..

აი, როგორია ჩვენი ინტელიგენციის კულტურტრეგერობა! აი, ის ბოროტება, რომელიც ეროვნულ განვითარებას წინ ეღობება.

დღეს ორი ძალა სდგას ერთი მეორის წინააღმდეგ მათ შორის მუდმივი ფარული და ხან ცხადი ბძოლა სწარმოობს. ერთის სიცოცხლე მეორისთვის სიკვდილია, ერთის გამარჯვება მეორის დამარცხებაა. ეს ბრძოლა ასი წელია სწარმოებს, მაგრამ ისე მწვავე და გადამწყვეტი ხასიათი არა დროს არ ქონია, როგორც მას ჩვენ დროში მიეცა, რასაკვირველია, ჩვენ ბედს იზიარებენ, ჩვენს ტაფაში იწვიან რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ერებიც ხოლო ისინი ჩვენზე უკეთეს პირობებში მითი არიან, რომ უკვე შეიგნეს ასეთი მდგომარეობა გაითვალისწინეს თავისი ბედი, და რაც ძალღონე შესწევთ, ებრძვიან ამგვარ ეროვნული კულტურის დამთრგუნველ ძალას...

პოლონელებმა, მაგალითად, დიდი ხანია იციან, რომ რუსიფიკაციის პოლიტიკას ისე ნაყოფიერათ ოფიციალური რუსეთის მესვეურნი ვერ აწარმოებენ, როგორც რუსის საზოგადოება, რუსული ლიტერატურა, თეატრი და ენა, მიტომაცაა, რომ ასე სასტიკათ ებრძვიან ყოველივეს, რასაც რუსულის სული უდის. პოლონეთში არ კითხულობენ რუსული ლიტერატურის ისეთ გოლიათებსაც კი როგორიც დოსტოევსკი და ტოლსტოია. მოსკოვის საიმპერატორო პატარა თეატრს რომ ბოიკოტი გამოუცხადეს ვარშავაში, ეს ხომ ყველას ეხსომება. სამხატვრო თეატრისთვის, მართალია, ბოიკოტი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ მისი სტუმრობა პოლონურმა პრესამ ერთი სიტყვითაც არ აღნიშნა, რაც ბოიკოტზე უარესია. რუსულათ მოლაპარაკე პოლონელი კი თითით საჩვენებელია მათში.

ასეა იქ, რადაც შეუგნიათ თავისი მდგომარეობა... ჩვენ კი უკანასკნელ გროშს ვხარჯავთ იმისთვის, რომ ჩვენი კულტურის დამთრგუნველი ძალა გავაძლიეროთ.

ჩვენ გვგონია—ზემო-აღნიშნული ცხად ყოფს, რომ სასტიპენდიო თანხებს სხვა დანიშნულება უნდა მიეცეს.

დღეს ჩვენ უნდა ვეცადოთ გავამრავლოთ და გავაძლიეროთ ის ელემენტები, რომელნიც უმთავრესათ ჩვენი კულტურით საზრდოობენ, ჩვენ ენაზე ლაპარაკობენ, ჩვენ ჟურნალგაზეთს კითხულობენ, ჩვენს თეატრში დადიან, ამიტომ ჩვენი მთელი ძალღონე უნდა მოხმარდეს საყოველთაო პირველდაწყებით სწავლის შემოღებას; ჩვენ არა გვძაგს საერობო თვითმართველობა, მაგრამ გვყავს წერა-კითხვის საზოგადოება,—რომელსაც წესდების ძალით შეუძლია შკოლების ქსელი გააბას მთელ საქართველოში.

ჩვენი ქვეყანა მიწისმოქმედთა ქვეყანაა და ეს გვავალებს—შევიტანოთ ხალხში სამეურნეო ცოდნა. ჩვენი გლეხი უმწეო მდგომარეობაშია არა მარტო იმით, რომ მიწა არ ყოფნის, აგრეთვე მითაც, რომ იგი აქამდი პრიმიტიულ წარმოების წესს მისდევს. მეურნეობა ექსტენსიურია, და რომ ინტენსიურათ იქცეს—კოოპერატიულ ამხანაგობათა შედგენის გარდა სამეურნეო ცოდნაა საჭირო. საჭიროა ისეთი დაბალი და საშვალო ტიპის შკოლები (პირველდაწყებითზე ზევით ვსთქვით), რომელნიც პრაქტიკულ სამეურნეო და სავაჭრო სამრეწველო ცოდნას აძლევდენ მოწაფეს.

აი, რას უნდა მოხმარდეს ჩვენის აზრით ის თანხა, რომელიც დღეს უმაღლეს სწავლა-აღზდის საქმეზე იხარჯება. ამით რამ საკვირველი, იმის თქმა არ გვინდა, რომ ნუ მივცემთ საშვალებას იმას ვინც განსაკუთრებულ ნიჭს გამოიჩენს სხვა ამა თუ იმ დარგში, მაგრამ ასეთების რიცხვი ისე მცირეა, რომ მათ ვის საერთო გეგმის შეცვლა საჭირო არ იქნება.

ჩვენ იმასაც ვგრძნობთ, რომ ამის განხორციელება ერთბაშათ არ მოხერხდება დღესდღეობით, ხოლო ისიც საკმარისი იქნება, თუ თავის მოქმედებას ამგვარ მიმართულებას მისცემენ ისინი, ვისაც ამ საკითხის გადაწყვეტის უფლება მინიჭებული აქვთ.

## ახალი ამბავი.

ქუთაისის გუბერნიის მევენახეობისა და და მეღვინეობის კომიტეტს 31 ივლისის სხდომაზე გადაუწყვეტია მევენახეთა და მეღვინეთა თათბირი მოაწყოს რაჭის მაზრის სოფ. ხვანჭკარაში 1 ნოემბერს და შორაპნის მაზრის დ. ზესტაფონში 10 ნოემბერს.

✦ ქუთაისის ხელოსანთა წვრილი კრედიტის ამხანაგობის გამგეობა ინსპექტორთა ნ. ფომენკოსი და ა. ნიჟარაძის წინადადების გამო, აცხადებს, რომ კვირას, 4 აგვისტოს, დილის 11 საათზე, ქალაქის თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ხსენებული კრედიტის წევრთა საზოგადო კრება —ახალი გამგეობის ამოსარჩევათ და ბანკის რევიზიის შედეგის გასაცნობათ.

✦ 31 ივლისს ქალაქის მოურავმა სანიტარული აქიმებისა და სანიტარების თანხლებით ქალაქის შუაგული ნაწილი დაათვალიერა. ხელზე მოვაჭრეებს აეკრძალათ ქუჩებზე ვაჭრობა, საქონლისა და ან ცარიელი ყუთების დაწყობა. უსუფთაობის გამო ოქმი შეუდგინეს მეპურე პოლოს ჩაროდვიანს, ი. თვალაძეს, ს. ფიჩხაძეს და გ. ციციაშვილს. მეხილეებს: სიხარულიძეს, გვინჩაძესა და ოსიპაშვილს. 1 აგვისტოს პუშკინისა და თფილისის ქუჩები დაათვალიერეს. ოქმი შეუყენეს: მეპურე მემედ-მაჰმუდ-ოღლის, რომელსაც პურში ქია უნახეს, სვანიძეს და ძიძიგურს.

✦ კვირას, 4 აგვისტოს, დ. ზესტაფონში კნ. ბ. წერეთლისა წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების სასარგებლოთ გამართავს საღამოსერონობას.

✦ ამ მოკლე ხანში ქუთაისში მოქმედებას დაიწყებს ახალი საზოგადოება, რომელსაც ერქმევა: „ქუთაისსა და ქუთაისის გუბერნიაში კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელი ვაჭართა საზოგადოება.“ საზოგადოების უახლოესი მიზანია ქუთაისში გახსნას საშვალო კომერციული სასწავლებელი უფლებით რეალურ სასწავლებელს გაუთანასწორდება და მასში კურს დასრულებულთ უფლება ექნებათ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში განაგრძონ.

✦ ქართული გაზეთი „ახალი აზრი“ რომელიც ამ რამდენიმე კვირის წინათ გამოვიდა, ოთხი დღეა შეჩერდა და აღარ გამოდის.

✦ ქართველი მეცნიერისა და ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ქვრივი, რომელიც ამჟამათ ღრმა მოხუცებულია, დუშეთში, თავის ქმრის მამულში სცხოვრობსო. ქ-ნი იოსელიანისა ამჟამათ მძიმე ავათმყოფია. მას უკვე შედგენილი ქონია ანდერძი, რომლითაც მთელს ქონებას, მათ შორის განსვენებული ქმრის ძვირფას ბიბლიოთეკას, სხვადასხვა ქართულ საზოგადო და საქველმოქმედო დაწესებულებებს უტოვებს.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ წინადადება მიიღო, ექსპონატები გაგზავნოს თბილეულის გამოფენაზე, რომელიც კიევში 1 სექტემბერს გაიმართება...

✦ ამ მოკლე ხანში თფილისს ესტუმრებმა გერმანელ მეურნეთა ჯგუფი. რომელსაც აზრათ აქვს შეისწავლოს მეურნეობის მდგომარეობა ჩვენში.

### მოწერილი ამბავი.

**აბასტუმანი.** 27 ივლისს, აბასტუმანში წაიკითხა ლექცია ბ. გრიგოლ რობაქიძემ შემდეგ თემაზე: „შოთა რუსთველი და მისი პოემა“. ლექციას შემდეგ გრიშაშვილმა თავისი მოხდენილი ლექსებით ხალხი ძლიერ გაამხიარულა.

— 25 ივლისს, სასიკვდილოთ დასჭრეს ხანჯლით და გადაიცვალა ვინმე ჯიჯინეიშვილი მკვლელი თურქია შეიპყრეს.

— 25 ივლისს, ფეხით გამგზავრებული ექსკურსია დაბრუნდა ქუთაისს 29 ივლისს ღამით. მათ დაუთვალიერებიათ ზეკორის აბანო, აბასტუმანი და მისი მიდამოები.

**სოფ. გორდი (ოდიში).** 31 ივლისს, დღით გაიტაცეს ავაზაკებმა ორი კაცი. საქმე ასე მომხდარა: სოფლის მახლობლათ, მდ. ცხენის წყლის პირათ მიდიოდა კანტორისკენ იტალიელი თავისი მოურავით, რომელთაც კანტორაში ფული მოჰქონდათო, ორივე ცხენით ყოფილა, გზაზე, წყლის პირთან ამათ ოთხი შეიარაღებული კაცი, დახვედრია რომელთაც მოუკლავთ იტალიელისა და მისი მხლებელი კაცის ცხენები, თვითონ კაცები კი წყალ-წყალ ზევით წაუყვანიათ ავაზაკებს და მიმალულან. ამ ამბავის მაყურებელი შორიდან ბევრი ყოფილა მაგრამ, სიშორის გამო, ავაზაკების ვინაობა ვერ გამოურკვევიათ. მიზეზი იტალიელის და მისი მოურავის გატაცებისა ჯერ გაუგებარია, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ავაზაკები ინგარიშების სენით არიან შეპყრობილი. პოლიციამ ჯეროვანი ზომები მიიღო.

**ბახმარო** 16 ივლისს მოგარაკეთა თანდასწრებით აკურთხეს აქაური სათეატრო შენობა, მას შემდეგ თითქმის ყოველდღე იმართება წარმოდგენები, ხანაც რეფერატლექციებს კითხულობენ. ხალხი ყოველთვის ბლომათ ესწრება. 22 ივლის აქიმმა ი. აბაკელიამ წაიკითხა ლექცია: „ჭლექი და მასთან ბრძოლა“. ამ ლექციას ხალხი დიდძალი დაესწრებოდა, რომ ქართულათ წაიკითხა... ბევრი საყვედურს ამბობდა: რატომ კითულობს რუსულათ, როცა აქ ყველა ქართველები ვართ ბევრს არც გვესმის ამ ქართველი აქიმის რუსული. აქაური საზოგადოების საყურადღებოთ უნდა ვსთქვა: თეატრში სიმღერა არ შეიძლება, არც ლაპარაკ-სიცილს უნდა ქონდეს ადგილი.

17 ივლისიდან 10 აგვისტომდი პრივატდოცენტი იასონ მოსეშვილი წაიკითხავს სამ ლექციას შემდეგ თემებზე: „ჩვენ ქვეყნის ბუნებრივი საუნჯენი“.

## ✤ ავგუსტ ბებელი.

კარგა ხანია მთელი ევროპის ბურჟუაზია შიშით ადევნებს თვალყურს იმ დიად მოძრაობას, რომელიც ამ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში ისე გაიზარდა, ისე თვალსაჩინო ძალათ გადაიქცა, რომ ამაქვეყნის ძლიერთ დღეს აღარ შეუძლიათ ისე თავისუფლათ არც ერთი საკითხი გადაწყვიტონ, თუ ანგარიში არ გაუწიეს ამ ძალას. ეს ძალა საერთაშორისო სოციალიზმია. სოციალიზმი ჯერ ხნობით მხოლოდ განსაზღვრულ მიზნისკენ მისწრაფებაა, მაგრამ უკვე თავის ძლიერ გავლენას აჩენს ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაზე. დღეს ქვეყნის პარლამენტებში არსებობენ სოციალისტური ფრაქციები, რომელნიც, მართალია, კანონმდებლობაში დიდ მონაწილეობას ვერ იღებენ, მაგრამ თვით ფაქტი მათი არსებობისა აიძულებს გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლებს მეტის ყურადღებით მოეპყრან მუშათა ინტერესებს.

აი, ერთი ასეთი უდიდესი უძლიერესი სოციალისტური საპარლამენტო ფრაქციის ბელადი იყო ის, ვისი გადაცვალების ამბავი ლაკონიურათ გადმოგვცა დეპეშათა სააგენტომ.

საერთაშორისო სოციალიზმის მოციქული დიდი პოლიტიკური მოღვაწე, ძლიერის ნიჭით დაჯილდოვებული ავგუსტ ბებელი, დიდიხანია სათავეში უდგას გერმანიის სოციალისტურ მოძრაობას. მან ლიბკნეხტთან და ბაუერთან ერთათ შექმნა გერმანიაში ესოდენ ძლიერი, სოციალდემოკრატიული პარტია. იგი თეორეტიულათაც არკვევდა სოციალიზმის პრობლემას, ხოლო მსოფლიო სახელი მოიპოვა გერმანიის პარლამენტში პრაქტიკული ბრძოლით. ყოველი მისი გამოსვლა ს.-დემოკრატიის ზეიმი იყო. მის აზრს ანგარიშს უწევდენ სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის მტრებიც კი.

იგი მეთაურობდა საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე და ხშირათ აძლევდა მათ განსაზღვრულ მიმართულებას. აი, ვინ დაკარგა გერმანიის სოც.-დემოკრატიამ და მასთან ერთად საერთა შორისო სოციალიზმმაც.

მიუხედავათ განსვენებულის მოძღვრების, თეორეტიული უთანხმოებისა ჩვენ, ვუერთდებით მწუხარებაში იმათ, ვინც მხცოვან ბელადს შრომის სამეფოსკენ მიყავდა.

## ფიქრთა მორევში.

გადაიცვალა ავგუსტ ბებელი. იგი სამოცდაცამეტი წლის მოხუცი იყო უკვე, მაგრამ ახალგაზდური გატაცებით იცავდა მარქსისტულ მცნებას და ერთი თვალსაჩინო მოძღვარი იყო ამ მცნებისა სიტყვით და კალმით. გერმანიაში, ამ სოციალდემოკრატიული მოძღვრების ბუდეში, ბებელი ერთ საუკეთესო ლიდერათ ითვლებოდა ამ მოძღვრებისა, იგი მტკიცე რწმენის, მკვეთრი სიტყვისა და ბეჯითი საქმის კაცი იყო დიდი ერუდიციით. გერმანიის პარლამენტში იგი ერთ უპირველეს წევრათ ითვლებოდა სოც.-დემოკრატიული პარტიისა და მუშა—მშრომელი ხალხის ინტერესების ერთი საუკეთესო, საიმედო დამცველი იყო. გერმანიის მარქსისტისათვის ბებელის დაკარგვა აუნაზღაურებელია. მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი ქომაგის ხხოვნის წინაშე ჩვენც ქედს ვიხრით, სავსებითაც რომ არ ვიზიარებდეთ მისი ყალბი მიმდევრების მიერ ჩვენს ქვეყანაში ყალბათ გადმოტანილსა და დათესილ მოძღვრებას.

**დ. მესხი.**

## ჩვენს მეურნეობაზე.

(ბ. „თეთრის“ წერილის გამო „იმერეთი“ № 114).

ჩემი წერილით მსურდა საზოგადოების ყურადღება მიმექცია ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის უმწეო მდგომარეობისთვის, მსურდა ბევრს გამოეთქვა თავისი აზრი და საკითხი გამორკვეულიყო, რის შემდეგაც უფრო ადვილი იქნებოდა პრაქტიკული ზომების დასახვა.

ზოგიერთმა მკითხველმა მართლაც მიაქცია ყურადღება აღძრულ საკითხს და გაგვიზიარა თავისი აზრი—ეს მეტათ სასიამოვნოა, მხოლოდ მსურს ბ. „თეთრის“ წერილის გამო განვმარტო ჩემი აზრი.

ბ. „თეთრს“ ჩემი აზრი გადაჭარბებულათ მოჩვენებია. ნეტა მართლა ასე იყოს! ნეტა მეურნეობის მდგომარეობა უფრო საიმედო იყოს ჩვენში, ვინემ მე მაქვს წარმოდგენილი! ჩემი აზრი რომ შემცდარი იყოს—არ მეწყინება, ცხადია, რადგან ეს უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ, სამწუხაროთ, თუ ფაქტიურ მხარეს დავხედავთ, მე სრულიადაც არ ვაჭარბებ და აი რატომ.

1. თქვენ ბძანებთ:—„უწინ ვჩიოდით, არ გვყავს მეურნენიო და ბოლო დროს თავგამოდებით ეტანება ახალგაზდობა უმაღლეს სამეურნეო სასწავლებლებსო.“

არა ბ-ნო; ვინც არის ჩვენში სამეურნეო სწავლა მიღებული, ისიც არ მეურნეობს. ვიცნობ ერთ მეურნეს ევროპაში ნასწავლს, რომელიც ერთ ხანს მრეწველობდა, მერე მასწავლებლობდა (რასაკვირველია, არა სამეურნეო სასწავლებელში) ახლა სხვა დარგზე მოღვაწეობს. ვიცნობ მეორე მეურნეს ევროპაში ნასწავლს—აქ ფრანგული ენის მასწავლებელია, ვიცნობ მესამე მეურნეს ევროპაში აღზდილს და სამეურნეო განათლება მიღებულს, რომელიც დიდი მოყვარულია მეურნეობის, მაგრამ აქ სულ სხვა საგნებს ასწავლის და მისი სამეურნეო მოღვაწეობა ჯერ მის ეზოს ვერ გადაშორდა. ეს პირები მწერლობაშიც მოღვაწეობენ: ერთი ისტორიას სწერს, მეორე პუბლიცისტიკას ემსახურება, მესამე ბელლეტრისტია, რომელიც სიხარულსა და სიყვარულზე მშვენიერ ეტიუდებს სწერს. სამივე მწერლობს, მაგრამ „სასოფლო გაზეთში“, რომელიც ერთი უსაჭიროესი სამეურნეო ორგანოა, მათ კალამს არაფერი დაუწერია, და რამდენია ამისთანა მაგალითები? ვინ იცის, რომ ეს პირები სასარგებლო მოქალაქენი არ იყვნენ ჩვენი ქვეყნისთვის, ვინ იტყვის, რომ მათი მოღვაწეობა ჩვენ არ გვეჭირვებოდეს, მაგრამ პირდაპირ მეურნეობას მათ ვერაფერი შესძინეს. ევროპაში სამთო საინჟინერო კურსებზე სწავლა მიღებული ქართველები აქ გერმანული ენის მასწავლებლათ არიან. მაგალითებით მე სრულიადაც არა მსურს აღნიშნული პირების დამცირება, მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ალბათ არის რაღაც ისეთი რთული გარემოება, რომლის გამოც სამეურნეო ასპარეზზე მოღვაწეობა აქ არ ხერხდება და სპეციალურათ აღზდილნი პირნიც სხვა დარგში მოღვაწეობენ. აი, ეს გარემოება უნდა გავარკვიოთ და მოვსპოთ, რომ შევქნათ ხელსაყრელი პირობები სამეურნეო მოღვაწეობისთვის. ვინ არის მოთავდები. ბ. „თეთრო“, რომ ის თქვენი ნაცნობი 12 მოსწავლე მეურნეც ის გზას არ დაადგება, როგორსაც ზემო აღნიშნულნი? საჭიროა გარემოების გარკვევა და აწონ-დაწონა.

2. თქვენ ბძანებთ: ,,12 მოსწავლე მეურნეს ვიცნობ და ალბათ სხვ იქნება კიდეო''; მართალია, მაგრამ სტატისტიკა აი, რას გვეუბნება: ყოველ წელს ჩვენში საშვალო სასწავლებელს ათავებს ორასი შუა რიცხვით 300 ქართველი, მათი რიცხვიდან სამეურნეო ნაწილზე მიდის 2%. ეს არის საიმედო ნიშანი? უწინ თუ ორი სამი მეურნე იყო და დღეს კი ოცი და ოცდახუთი ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ აყვავების გზას ვადგევართ. აქ მნიშვნელობა აქვს მცხოვრებთა რაოდენობას და ნასწავლთა %%. ამ მხრით შეხედეთ საკითხს და დარწმუნდებით, რომ მე აქ ქარებით არ გამოწყავს დასკვნები. ფაქტები მიკარნახებს პესიმისტურ კილოს თვარა ბუნებით და რწმენით მე ოპტიმიზმის მომხრე ვარ.

3. იმედი ძვირფასი რამ არის, მაგრამ უსაფუძვლო. იმედი მცირე ფასისაა. მართალია, ჩვენში გამრავლდა ბაღები, ერთმა ქუთაის ახლო მომუშავე მებაღემ ორ თვეში 1500 მანეთის მარტო კიტრი გაყიდა წელს, დიდუბის ახლო მდებარე ფერმები გერმანელებისა სასიამოვნო სანახავია, მაგრამ ქართულ ჯიბეს ეს გვეგდით გაუვლის. მე როცა ვლაპარაკობ ჩვენ მეურნეობაზე—ტერიტორია იმდენათ მაქვს სახეში, რამდენათაც ის ქართველის არის და ქართველი მუშაობს და არა უცხოელი. საუფლისწულო მამულიც კარგათ არის კახეთში, მაგრამ ქართველ მეურნეობას ეს ბევრს არ არგებს. ამ მხრით, ბ. ,,თეთრო'', ფაქტიური მხარე ჩემი აზრის დამამტკიცებელია და არა თქვენი იმედების, თუმცა, ვიმეორებ, მე ის მირჩევნია, რომ სიმართლე თქვენკენ იყოს.

მე მისი მომხრე ვარ, რომ ყველამ სწავლა გააგძელოს თავისი მოწოდების დამიხედვით; ნაძალადევათ მიმართულების მიცემა ანტიპედაგოგიური ზომაა მე იმას არ თანავუგრძნობ, მაგრამ მჯერა, რომ 300 ქართველში ორი მის მეტს სამეურნეო მოწოდება ქონდეს და თუ ესენი სამეურნეო სასწავლებელს გაურბიან, ალბათ არის რაღაცა მიზეზი. ზოგი მათგანი მე დავასახელე წინა წერილში ზოგს თვითონ დაასახელებს, ვისაც გულწრფელობა ღირსებათ მიაჩნია.

თუ რა ზომები უნდა მივიღოთ მეურნეობის გასაუმჯობესებლათ, ამის შესახებ შემდეგაც გამოვსთქვამთ ჩვენს აზრს და ჯერ კი გვინდა მოვუსმინოთ მათ ვინც მიზეზებს დაგვისახელებს.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## სალიტერატურო შენიშვნები.

I.

შემცთარი აზრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

3.

ბ-ნის დავ. კარიჭაშვილის „შენიშვნები“-ს გამო.

1. „რა მეფედ დასმა მეფემან ჰბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიჰხვდა სიამე, გსება ხჭირს მის სოქალისა“.

ბ-ნი დ. კარიჭაშვილი ამბობს: „სოქალის, პატიოსანის ქვის ესებას (ჩაქრობას, განელებას) აზრი არა აქვს. ჩვენის აზრით ამ სტრიქონის უკანასკნელი სიტყვები წარყვნილია და, უეჭველია, უნდა სულ ბოლო სიტყვა უთვილიუთ ალი, რის დაგსებას ავთანდილისთვის დიდის სიამის შეძენა შეეძლო. შეიძლება უთვილიუთს რთული სიტყვა ოქ—ალი ან სოქ—ალი, მაგრამ, სამწუხაროდ, გვესმის მნიშვნელობა არც სოქისა, ოქისა“ (იხ. მისი გამოცემა, გვ. 264-265).

ჩემის აზრით „გსება“ აქ „ჩაქრობას“ არ ნიშნავს, არამედ ავსებას, გავსებ

სოქალიც, ე. ი. თვალი პატიოსანი, მშვენიერი ქვა—მეტაფორულათ გულ-მკერდს ნიშნავს. მაშასადამე აზრი ასეთია: როცა როსტევანმა თინათინის მეფეთ ასმა ბძანა, ავთანდილს გული (სოქალი) სიხარულით აევსოვო.

2. „ქალი სტირს და ცრემლსა აფრქვევს, „ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა“.

ბ-ნი კარიჭაშვილი, თანახმათ ბატონიშვილის თეიმურაზის განმარტებისა, ფიქრობს, რომ „ყორნის ბოლო ფრთა აქ აღნიშნავს ქალის კავებსო“ (გვ. 265).— მცთარ აზრათ მიმაჩნია, რადგან მგოსანს უნდოდა თინათინის მწუხარება დაეხატა, და მწუხარება კი კავებისა და თვალების მიხრა-მოხრით კი არ გამოიხატება, არამედ სახის ცოცხალი ნაკვთების გამომეტყველებით, სახის ნაკვთების მოძრაობით. „ყორნის ბოლო ფრთანი“, ჩემის აზრით, პოეტური მეტაფორით წარბებს უნდა აღნიშნავდენ, მით უფრო, რომ ყორნის შავი, ლამაზათ გადართხმული ფრთები ძალიან მოხდენილათ ახასიათებს შავი წარბების სილამაზეს, მშვენიერ მოყვანილობას. აქაც ის აზრია გამოთქმული, რომ თინათინი ყორნის ფრთების მსგავს წარბებს ძირს ხრიდაო. მაშასადამე—სახეს ხუშავდა და მით თვის მწუხარებას გამოსთქვამდაო.

3. „მზეო, ვინ გიშერი აწამწამე“, ე. ი. ვისაც შავი თვალები გაქვსო; წამწამება— დახამხამებაო“.

ასე განმარტავს ბ-ნი კარიჭაშვილი. მე მგონია, რომ „ვინ გიშერი აწამწამე“ ნიშნავს: ვინაც გიშერი წამწამებათ გაიხადე, ე. ი. ვისაც გიშრის ფერი წამწამები გაქვსო.

4. „ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასად აგეს...
ყმა ეტყვის თუ შენთა მჭვრეტთა თავი ხელი ასად აგეს“.

ბ-ნი კარიჭაშვილის აზრით პირველი ასად აგეს ნიშნავს ასჯერ გაამრავლესო, მეორე ასად აგეს—ასად აქციესო. მე მგონია, რუსთველი ორივე ტაეპში ერთისა და იმავე სიტყვის მნიშვნელობას არ იხმარდა: ომონიმებით გამოხატულ რითმებს პოეტური სილამაზე მხოლოდ მაშინ აქვს, როცა თითოეული ომონიმი სულ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვას წარმოადგენს, და, მართლაც, რუსთველი ყოველთვის ამგვარი ომონიმებით ათამაშებს რითმებს. ამიტომ ზევით მოყვანილს მეორე ტაეპში მართლა ასად აგეს კი არ უნდა იყოს, არამედ ა სად აგეს (თავი ხელი ა სად აგეს), ე. ი. შმაგი თავი სა სადამდი მიიყვანესო.

5. „წელთა ოქრო შემოირტყა, სადარიბოდ მოეკაზმა“.

ბ-ნი კარიჭაშვილი ასე განმარტავს: სადარიბოდ, ე. ი. ისე, როგორც შეშვენის ღარიბს, უცხო, უთვისტომო, სამალავ მაძებარ კაცსაო“.

მე კი ვფიქრობ, რომ სადარიბოდ ნიშნავს მარტოთ გასაჭრელათ, მარტოთ სამოგზავროთ. ამავე აზრით ეს სიტყვა რუსთველს ხშირათ აქვს ნახმარი,—მაგ.—176-ე ხანაში: „იგი სადმე გადარიბდეს, სამყოფთაგან იაზჱროს“, ე. ი. სადმე მარტოთ გაიჭრას, საცხოვრებელ ადგილებს მოშორდესო.

6. „ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ნათამცა გაშიკობდეს; დამცაველრა, ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს“.

ბ-ნი კარიჭაშვილი განმარტავს: „ნამუსობდეს, ე. ი. იქცეოდესო“.

ნესტან-დარეჯანმა ასმათი ტარიელთან გაგზავნა და სთხოვა: ტარიელს შემატყობინე, ისე მოაჩვენოს ყველას, თითქო შენთან ჩემი გულისათვის კი არ დადის, არამედ შენთვის, თითქო შენ გეარშიყებაო. ცხადია, ნესტანი ერიდებოდა, რომ ტარიელისა და მისი მიჯნურობა არ გამჟღავნებულიყო, და ამიტომ ასმათის პირით ტარიელსა სთხოვს—ნამუსობდეს, ე. ი. მიჯნურობა ფარულათ, ნამუსათ შეინახოს, არ გაამჟღავნოს. ცარიელი სიტყვით „იქცეოდეს“ კი აზრი არ განიმარტება.

7. „მუნ იზრდებოდეს ტანითა, გაბათნს განაზარდითა“ (320-ე ხანა).

„გაბათნი“ ადგილია პალესტინაშიო“, განმარტავს ბ-ნი კარიჭაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში (გვ. 298). საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვა გაბათნ ასეა განმარტებული: „ბორცვი ბუქნილი“-ო; მაშასადამე—საბას განმარტებით გაბათნი ყოფილა მთა-გორა, მაღლობი, მთა-ადგილი. თუ რომ საბას განმარტებას მივიღებთ, მაშინ შოთას ზემორე ადგილი გასაგები იქნება: ნესტანი „მუნ იზრდებოდა ტანითა“, ისეთი ტანით, როგორიც იზდება ხოლმე მაღალის, მთა-ადგილების წიაღშიო. „პალესტინაში აღზდილ ტანს კი“, ჩემის აზრით, აქ ადგილი არ უნდა ქონდეს.

სილოვანი.

ქუთაისი, 30 ივლისი.

# რუსეთი.

**ჩხრეკა.** ცარიცინში ილიოდორეს მომხრეთა ბინები გაჩხრიკეს. ეძებენ ილიოდორეს ძმას. ამბობენ, ის ცარიცინში საიდუმლო საქმეზეა ჩამოსულიო.

**ერობა ციმბირში.** ბოდაიბოს ქალაქის რწმუნებულები შუამდგომლობენ,—ერობის შემოღება, რაც შეიძლება დააჩქარეთო; ამ თვითმართველობისვე ინსტიტუტის შემოღებას ალეკმინსკის და ვიტებსკის სამთო ოლქები მოითხოვენ და აღნიშვნენ—რკინის გზების გაყვანა და ერობის შემოღება ეკონომიურისა და კულტურის მხრით ააყვავებს ამ მდიდარ მხარესო.

**პურის შემოტანა რუსეთში.** მიწის მოქმედებისა და მოწყობის უმთავრეს სამართველოს უფროსმა კრივოშეინმა მინისტრთა საბჭოში თავისი მოსაზრება შეიტანა იმის შესახებ, თუ რა ღონისძიება უნდა მიიღოს, რომ უცხოეთიდან რუსეთში პური არ შემოიტანონ. კრივოშეინი ვაჭრობა-მრეწველების საქმეთა მინისტრის ტიმაშევის აზრს იზიარებს. მასაც საჭიროთ მიაჩნია—უცხოეთიდან შემოტანილ პურის ფქვილს და მარცვალს დიდი გადასახადი დაედვას.

**ჭაერში მფრინავი უტოჩკინი.** ჰაერში მფრინავი უტოჩკინი საავათმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოათავსეს. უტოჩკინს განუზრახავს საზამთრო სასახლეში შესვლა და მეფის პირადათ ნახვა. მისულა კარებთან და მეკარისთვის უთქვამს:—მოახსენე მეფეს ჩემი აქ მოსვლაო. შვეიცარს უარი უთქვამს და უტოჩკინს უცემია მისთვის. საავათმყოფოში უტოჩკინს ცნობილი აქიმი ჩეხოვი უვლის.

**გაჭარი კუხტერინი.** ნიკოლაევსკში გადაიცვალა ცნობილი ვაჭარი კუხტერინი. მან ქალაქს საქველმოქმედო მიზნით 307 ათასი მანეთი უანდერძა.

**ერობა და მენშიკოვ-კორეიშ.** კლინიკის მაზრაში მამულის პატრონი მენშიკოვ-კორეიშა, რამდენიმე წელიწადია, რაც საერობო გადასახადის გადახდაზე უარს ამბობს. კლინიკის სამაზრო ერობის ცთამ, რომ მისგან აეღო გადასახადი, ამაოთ ჩაიარა. ამ რამდენიმე ხნის წინათ ერობამ შუამდგომლობა აღძრა, რომ გადასახადის ფულში მამული გაყიდულიყო. ცნობაა, რომ ეს შუამდგომლობა მთავრობას არ შეუწყნარებია.

**წ. კ. საზოგადოებათა კრება.** შინაურ საქმეთა მინისტრმა პეტერბურგის წ. კ. საზოგადოებას ნება დართო მოიწვიოს სრულიად რუსეთის წ. კ. საზოგადოებათა კრება. კრება მოხდება ამ წლის 23 დეკემბერს და გაგძელდება 3 იანვრამდი 1914 წ. კრების დროს სასწავლო ნივთების გამოფენასაც გამართავენ.

**პეტერბურგის პოლიტეხნიკუმი.** პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში თხოვნების მიღება შეწყდა. 1,140 თავისუფალ ადგილზე 5 ათასი თხოვნაა შესული. პოლიტეხნიკუმში მთხოვნელი შარშანაც ბევრი იყო, მაგრამ წელს შარშანდელს 600 სჭარბობს.

# უცხოეთი.

**არეულობა ჩინეთში.** შანხაიში მცხოვრებლები მშვიდდებიან. აჯანყებულები ქალაქიდან გარბიან. ვუზუნის ფორტთან კიდევ ხდება შეტაკება. ჩრდილოეთლები სამხრეთლებზე უკეთეს მდგომარეობაში არიან. ნანკინი მთავრობის ხელშია. ჩიფუდან ცნობაა—ყველგან ჩრდილოეთლები იმარჯვებენო. აჯანყებულებში არავითარი დისციპლინა არ არის. მცხოვრებლები არც იუანშიკაისა და არც აჯანყებულებს არ ემხრობიან. ხალხს მხოლოდ მშვიდობიანობა უნდა.

**სოციალისტთა კონგრესი.** როგორც ვიცით, ჰოლანდიის სოციალისტთა ცენტრალურმა კომიტეტმა დადგინა, ლიბერალურ სამინისტროში სოციალისტებმა მონაწილეობა არ მიიღონ. ამ გადაწყვეტილებამ სოციალისტების ერთ ნაწილში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კომიტეტი იძულებული გახდა ამ საკითხის გასარჩევათ კონგრესი მოეწვია. თუ კომიტეტს კონგრესიც დაეთანხმა, მაშინ სამინისტროს კრიზისი გაგძელდება წინააღმდეგ შემთხვევაში სოციალისტები სამ პორტფელს მიიღებენ, კომიტეტის შედგენა მაშინ ლიბერალებს დაევალება.

**ინგლისი და პანამის არხი.** იტალიის ესკადრა ბერმუდსკის კუნძულებს (ვესტ-ინდია) მახლობლათ სდგას. ფიქრობენ —იქა და პანამის არხის შესავალში ინგლისის ფლოტი შექმნან. ამ ამბავმა ამერიკის პრესაში ინგლისისადმი უკმაყოფილება გამოიწვია. ლონდონში ამერიკელების მღელვარება გაუგებრათ მიაჩნიათ. ბერმუდსკის კუნძულები 1609 წლიდან ეკუთვნის ინგლისს. ინგლისისათვის ბერმუდსკის კუნძულებს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს კუნძულები სავაჭრო ბაზარს დაშორებული არაა.

**სუფრაჟისტი ქალები.** სუფრაჟისტ ქალებმა ლონდონის მახლობლათ სეტონში უმაღლესი შკოლის დარბაზში შესვლა მოინდომეს. შკოლის ერთ ოთახში ცეცხლი გააჩინეს, მარა ცეცხლი მალე დააქრეს. სადაც ლოიდ ჯორჯიმ მიტინგი მოაწყო, იმის მახლობლათ ამაფეთქებელი ნივთიერებანი და ყუმბარების პატრუქები ნახეს. სუფრაჟისტი ქალები თავს დაესხენ ჰოლფის ციხის აქიმს. აქიმს პოლიციელები და ციხიდან ახლათ გათავისუფლებული არა სუფრაჟისტი ქალები გამოესარჩლენ. სუფრაჟისტ ქალები გაფანტეს.

**გერმანიაში.** გერმანია გაძალებული სისწრაფით ამაგრებს ციხეებს სტრასბურგში ახლა გაცხარებული მუშაობაა. მდ. რკინის მარჯვენა მხარეზე ორი სიმაგრე ააგეს. მიზანი ამ გაცხარებული მუშაობისა საფრანგეთის თავდასხმისაგან თავის დაცვაა. საფრანგეთის საზღვრებზე გერმანიამ ჩინეთის ზღუდე აღმართა. აღმოსავლეთის საზღვრებზეც დიდი მუშაობა სწარმოებს. უმნიშვნელო ქალაქებს ამაგრებენ, ჯარი შეყავთ და სხვა. უცხოეთის ზოგიერთ გაზეთებს უკვირთ— რისთვის ემზადება ასე გერმანია მისი მოკავშირის ავსტრიის საზღვრებზეც კი.

**დიუპერდიუსენის საქმე.** პარიზში ყალბი საქმეების ჩადენისათვის დაპატიმრებული დიუპერდიუსენი დიდი პოპულიარული პირია დღეს საფრანგეთში. დიუპერდიუსენი აეროპლანების კონსტრუქტორი იყო, ქონდა აეროპლანების ქარხანა, იყო პარიზის თეატრის—„ბუფის“ საბჭოს წევრი, დამაარსებელი გაზეთებისა და სხვა. მას პუანკარესთანაც ქონდა ნაცნობობა და მისვლა-მოსვლა. დიუპერდისენის აფერისტობა პარიზის ერთ ბანკს 32 მილიონი ფრანკი დაუჯდა მეორე ბანკს კი 8 მილიონი ფრანკი.

# ბალკანეთის ამბები.

**ომის სხვერპლი.** იტალიის ერთი გაზეთის სამხედრო კორესპონდენტი დაწვრილებით ცნობებს იძლევა იმის შესახებ თუ რამდენი სხვერპლი შეიწირა ბალკანეთის ომმა ბულგარეთს მობილიზაციის მოხდენით მოუგროვებია 350 ათასი ჯარის კაცი. ომის პირველ ხანაში ოსმალებთან ბრძოლის დროს, მას 80 ათასი კაცი დაუკარგავს, აგრეთვე ოსმალებთან ომში დაუხარჯავს 600 მილიონ მანეთი. მეორე ბალკანეთის ომში კი 60 ათასი კაცი დაუკარგავს და 360 მილიონი ფული დაუხარჯავს. სერბიას, დემობილიზაციის სახით, 250 ათასი კაცი შეუგროვებია. ომის პირველ ხანაში 30 ათასი დაუკარგავს და 310 მილიონი მანეთი დაუხარჯავს, მეორე ხანაში კი დაუკარგავს 40 ათასი და დაუხარჯავს 200 მილიონი მანეთი. საბერძნეთს 150 ათასი ჯარისკაციდან 10,000 დაკარგვია ხოლო 140 მილიონი მანეთი დახარჯვია. მთაშავეთს 30 ათასი ჯარისკაცი ყოლია 8 ათასი კაცი დაკარგვია და 8 მილიონ მანეთი დაუხარჯავს ომის საჭიროებაზე. ოსმალეთს 450 ათასი კაცი მოუგროვებია. ომში 100 ათასი კაცი დაუკარგვია. ომის საჭიროებაზე სულ 800 მილიონი მანეთი დაუხარჯავს. სერბიასა და საბერძნეთის ზარალი ბალკანეთის მეორე ომის დროს არ არის გამორკვეული ამას თუ მიუმატებთ ხოლერისა და სხვა ავათმყოფობისაგან გადაცვალებულთ გამოდის რომ ბალკანეთის მეორე ომს 400 ათასი კაცი შეწირვია სხვერპლათ. საერთოდ ყველა სახელმწიფოს ამ ომის საჭიროებაზე დაახლოვებით მილიარდი მანეთი დაუხარჯავთ.

# მშრომელი ხალხი.

**გაფიცვები ბაქოში.** ბაქოს გაფიცვების თაობაზე გაზეთ „რეჩში“ სწერია: 27 ივლისს პეტერბურგში ცნობა მოვიდა, რომ ბაქოში გაფიცვა ძალიან გაიზარდაო! გაიფიცენ მანთაშევის, ვოტანის, სურუხანოკირილსკის, მოსკოვ-კავკასიის, ბიბი-ეიბათში რუსეთის, კასპია—შავიზღვის და სხვათა სამრეწველოების მუშები. მუშებმა 48 მოთხოვნილება წარადგინეს: განსაკუთრებით მოითხოვენ მუშათა კომისიების არსებობის შეწყნარებას. თხოულობენ აგრეთვე სამუშაო დღის შემცირებასა და შრომის ფასის მომატებას. ამ საქმეზე მოსალაპარაკებლათ ნავთის მრეწველებს კრება ქონდათ. კრებაზე გამოირკვა, რომ ნავთის მრეწველები რამდენიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე თანახმა არიან. ზოგიერთმა ფირმამ გაფიცვის თავიდან ასაცილებლათ თავის ნებით შეამოკლა სამუშაო დღე, მოუმატა მუშებს ჯამაგირი და სხვა. ყველა სამრეწველოში გაფიცვა მშვიდობიანათ მიმდინარეობს. მუშების ერთმა ნაწილმა მოთხოვნილების წარდგენას შემდეგ ქარხანა დასტოვა და თავის სოფელში წავიდა. ზოგიერთი ფირმის მუშები და მათ შორის ნობელისა თხოულობენ საცხოვრებელ ბინის პირობების გაუმჯობესებას. ბაქოს გაფიცვისგან. „დენიც“ ეხება და სწერს: ნავთის სამრეწველოებში გაფიცვა თანდათან ვრცელდება. ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებას გარდა წამოაყენეს სანიტარულ—ჰიგიენურ მოთხოვნილებათა მთელი რიგი. ნავთის სამრეწველოებში შრომის ფასის რთული სისტემაა. მუშები რამდენიმე კატეგორიათ არის დაყოფილი. მუშების ერთი ნაწილი თვიურათ 20—30 მანეთამდი ღებულობს მუშების ორ წილს მცირე ჯამაგირს აძლევენ ცხოვრება გაძვირდა და ამ ფულით ბაქოში ყოფა შეუძლებელი შეიქნა. გრძნობენ ამას მრეწველები და თანახმა არიან შრომის ფასის მომატებისა. მრეწველებსა და მუშებს შორის უმთავრეს სადაო საგანს შეადგენს მუშათა კომისიების არსებობის შეწყნარება. ამ კომისიის არსებობის შეწყნარებაზე მრეწველები გადაჭრით უარს ამბობენ. ნავთის სამრეწველოებში მუშათა რიცხვმა უკანასკნელ ხანებში ძალიან იკლო 1907 წელს ნავთის სამრეწველოებში 31,185 მუშა იყო 1911 წელს კი 22,759. ჯერჯერობით ნავთის მრეწველებს არაფერი უზარალიათ გაფიცვისაგან- ვინაიდან ნავთზე ფასმა ძალიან აიწია.

# ოკრიბა.

**ს. ჯვარისა.** ს. ჯვარისა ოცი-ოცდაორი ვერსის მანძილზეა ქ. ქუთაისზე დაშორებული. აქ არავითარი კულტურული დაწესებულება არ არსებობს გარდა სამრევლო შკოლისა, რომელსაც დიდი ვაი-ვაგლახით საკუთარი შენობაც შეუძენია.

ამ ოცი წლის წინათ დეკ. იოსებ გიორგაძეს მოუწვევია სოფლის ბავშები სასწავლებლათ, და მასწავლებლათ თავისი შვილი ივანე დაუყენებია. ეს უკანასკნელი ჩინებულათ ასწავლიდა ბავშებს. მის შკოლას სულ 20-დი ბავში შეადგენდა, შკოლა სამ განყოფილებათ გაეყო და სულ უმნიშვნელო სასყიდლით ბავშებს ენერგიულათ უძღვებოდა.

გავიდა დრო და დეკანოზმა იოსებმა და ივანე გიორგაძეებმა ნებაც აიღეს რომ ამ სოფელში სამრევლო შკოლა დაეარსებიათ. დიდი ვაი-ვაგლახს შემდეგ კიდეც ააგეს შკოლისთვის სახლი. ახალ შკოლაში უფრო ენერგიულათ დაუწყო მასწავლებელმა შეგირდებს სწავლება, მოსპო ის ორი მანეთიც, რომელსაც წლიურათ ახდევინებდა ბავშებს, მაგრამ იმათი რიცხვი ამით არ გამრავლებულა.

გავიდა კიდევ ორი-სამი წელი და დეკ. იოსებიც ძლიერ მოხუცდა, საჭირო იყო ეკლესიისთვის ახალი ღვდელი. შეიკრიბა სოფელი და მოინდომეს ღვდლათ ეკურთხათ მასწავლებელი ივ. გიორგაძე. მართლაც აკურთხეს.

ახლა საჭირო იყო ახალი მასწავლებელი და კიდევაც დაინიშნა ბ. მიხეილ ბოჭორიშვილი, რომელმაც უფრო განამტკიცა ბავშებში სწავლის სურვილი ეს ერთი წელიწადია, რაც ბ. ბოჭორიშვილი, აქ არის მასწავლებლათ და შკოლას სულ სხვა ელფერი დასდვა. მის თავ-მდაბლობასა და პატიოსნებას ადგილობრივი გლეხებიც შეუთვისდა და მოწაფეების რიცხვმაც ერთი ორად იმატა, ცდილობს, რაც შეიძლება უფრო მოიგოს მშობლების გული, რომ იმათ შვილებს სწავლის ნება მისცენ.

მერე რა ჯილდო ეძლევა მასწავლებელს?

არაფერი. მასწავლებლობის ქირათ ჩაითვლება 160 მანეთი წელიწადში?

საჭიროა სახალხო შკოლების გამგეობამ ყურადღება მიაქციოს ამ ბეჯით მასწავლებლის მდგომარეობას.

ნ. ხორჩნელი.

# „მაღალი სული“

**ვ. კოროლენკო.**

რუსი მწერლის მოგონება

თარგმანი.

წინ მიძევს უკანასკნელიდროის სურათი. ვუკვირდები მის სახეს, თითქოს დროს დაუზოგავს იგი, ხოლო შეუბრალებელ ცხოვრებას მაინც დაუჩნევია თავისი კვალი. თვალწინ მიდგება მთელი გროვა მოგონებისა. ამ მოგონებათ გადავყავარ იმ შორეულ წარსულში, როდესაც პირველათ ვნახე ეს მშვენიერი, საყვარელი სახე... ეს ჩემი მოგონება ოთხმოციან წლებს ეკუთვნის—სრული ოცდა-თოთხმეტი წელიწადია მას შემდეგ. „Отечест. Записк“-ების რედაქციიდან აუჩქარებელი ნაბიჯით გამოვიდა ახალგაზდა კაცი,—იქნებოდა ოცდა ხუთის წლის, ხელში მას შეხვეული ქაღალდები ეჭირა. ჰკვიანური, ენერგიით სავსე სახე უნებლიეთ იპყრობდა ყურადღებას. მაღალი, ღია შუბლი, შავი ხუჭუჭი თმა მშვენიერი, მბრწყინავი თვალები სქელ წარბებ ქვეშ სახეს უმშვენებდა, არა ჩვეულებრივი იყო ეს სილამაზე, სწორეთ ისეთი რომელიც დიდხანს გრჩება ხსოვნაში და არც არაოდეს გავიწყდება. თითქო ის სინათლე, რომელიც მის დიდებულ სულში დამკვიდრებულიყო აშუქებდა მის ლამაზ სახეს. შეხედვისათანავე რწმუნდებოდი, რომ ეს სამხრეთის ტიპი იყო. განა შესაძლებელია, რომ ცივმა, მკაცრმა უალერსო ჩრდილოეთის ბუნებამ შექმნას ასეთი სილამაზე. მხოლოდ ნაზი, თფილი, ლამაზი ღამე და კაშკაშა-წმინდა ალერსიანი ცა ბადებს მას...

თქორავდა, როდესაც რედაქციიდან ეს ახალგაზდა. სახეზე მკრთალი ღიმილი ემჩნეოდა, მოძრაობა სწორი, გაბედული ქონდა ნეტავი, ვინ არის, ვეკითხებოდი ჩემს თავს. მივედი თუ არა რედაქციაში, უპირველეს ყოვლისა იმ ყმაწვილის ვინაობა ვიკითხე. გავიგე—დამარცხებული დებიუტანტი ყოფილა, ვინმე კოროლენკო, არ დაუბეჭდეს მოთხრობა—„Эпизоды изъ жизни искателя“. როგორც მითხრეს, არ მოსწონებია სალტიკოვშჩედრინს, თუ არ ვიცი მიხაილოვსკის. ეს ცნობები მე არაფრით მაკმაყოფილებდა, რადგან კოროლენკოს სახელი მე უკვე გაგონილი მქონდა—ხსოვნამ სამსახური გამიწია და მომაგონდა ვინმე მოსკოველის ნაამბობი ერთ-ერთ სალიტერატურო კრებაზე. ამბავი ეხებოდა პეტროვო-რაზუმოვის საეურნეო აკადემიაში მომხდარ ინციდენტს დიდი ხნიდან ღელავდენ სტუდენტები აკადემიის ცუდი წესწყობილების გამო. მათი აღელვება დღითი დღე მატულობდა. ბოლოს გადაწყვიტეს თხოვნა მიეცათ დირექტორისათვის. თხოვნის მისაცემათ აირჩიეს კოროლენკო. როგორი ფორმაში გამოხატა მან ეს თხოვნა არავინ იცის, მხოლოდ შედეგი მისი კი ის იყო რომ კოროლენკო გააძევეს უნივერსიტეტიდან და, ესეც არ აკმარეს, ციმბირში უკრეს თავი, ეს უთუოდ ის კოროლენკო უნდა იყოს-თქო გავიფიქრე. მართლაც ასე გამოდგა, დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მას უპირმარილოთ რედაქციასთან შევხვდი, ისევ მალე მომეცა შემთხვევა მისი ნახვისა. ახლათ დაარსებულ პროგრესიულ ჟურნალ „Слово“-ს რედაქციაში. ჟურნალი ვინმე ციმბირელი მდიდარი ვაჭრის სიბირიაკოვის საშვალებით გამოდიოდა. სათავეში უდგა პროფესორი დიმიტრი კარაპჩევსკი—და მ. ისინსკი. ამ უკანასკნელის მეოხებით ნამდვილი მხატვრულ, ნაწარმოები იბეჭდებოდა ჟურნალში. თანამშრომლობდენ ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები. ამ რედაქციაში მოიტანა კოროლენკომ შჩედრინის მიერ დაწუნებული მოთხრობა. რა

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Двутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✦✦ იყიდება ზომიერ ფასათ ✦✦

**სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში.**

| ბორჯომის წყალი | თავის შერჩევით | | |
|---|---|---|---|
| | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | ყუთი (ბ.) |
| 1/2 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 მ. 50 კ. |
| 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 მ. 75 კ. |
| ნარზანი და ესენტ. № 20 1/2 | 11½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 მ. 50 კ. |

**დეპოლამპეულის, ჭურჭ ლეულობის, ავეჯეულობის და შპალერის ქ. ქუთაისში.**

# ფ. ს. ფილიპოვისა.

**ალექსანდრეს ქუჩაზე**

მოეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურები და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ... ტაკზე საფენი „ლინოლეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთები, აუარებელი ასარჩევი ნიმუშები შპალერის ... ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.

გორც მოთხრობამ ისე თვით ავტორმაც საუცხოვო შთაბეჭდილება მოახდინა. რედაქციაში იცოდენ რომ კოროლენკო უდანაშაულოდ დასჯილი იყო და ეს მოთხრობა პირველი შრომა იყო მისი. დებიუტანტის სიწყნარე, გულწრფელობა სულის სიწმიდე, სიმპატიური შეხედულება და სასიამოვნო კილო მისი ლაპარაკისა, თვით ხმა ტკბილი, საამური—ყოველივე ეს გხიბლავდა. ამ ჟამათ მოვიდა გასაგებათ—დაიბეჭდება თუ არა მისი მოთხრობა... მას სთხოვეს განეგრძო თანამშრომლობა. მეტათ მომეწონა კოროლენკო. მინდოდა დავახლოვებოდი, გამოვლაპარაკებოდი, რათა ახლოს გამეცნო იგი, მაგრამ ჩემზე ადრე წავიდა რედაქციიდან. მეწყინა.—თუ გაინტერესებთ კოროლენკო როგორც ადამიანი და მომავალი შესამჩნევი მწერალი—მითხრა კარაპჩევსკიმ—ბევრი რამ შეგიძლიათ გაიგოთ მისი ძმისგან, რომელიც მდივნათ არის „Дѣло“-ს რედაქციაში. მართლაც, მან ბევრი მასალა მომცა, საკმაოთ ძვირფასი, რომელიც მე კიდეც გამოვაქვეყნე იმ დროს, როდესაც კოროლენკოს სახელი ცნობილი შეიქნა.

მისგან გავიგე, სხვათაშორის რა გაჭირვებაც გამოუვლია კოროლენკოს ლუკმა-პურის გულისათვის არავითარ სამუშაოს არ თაკილობდა. ერთხან კორექტორათ იყო, ბოტანიკური ატლასისთვის სურათებს ღებავდა და რას არ საქმობდა. ასეთი მუშაობის ხელფასი, რასაკვირველია მცირეა, ამიტომ ნახევრათ მშიერი იყო. დიდი ხანი არ არის, რაც ფეხსაცმელების კერვას სწავლობდა კოროლენკო იმ მიზნით, რომ ცხოვრების საშვალებასთან ერთათ ახლო მდგარიყო მშრომელ ხალხთან, ახლოს გაცნობოდა მათ მდგომარეობას.

მრწამდა რომ ეს ახალგაზდა მწყრალი, რომელსაც სულ ორჯელ შევხვდი და რომელზეც იმდენი საინტერესო ცნობები მქონდა დიდ ხანს არ დარჩებოდა ჩრდილში, მას დიდებული მომავალი ელოდა როგორც საზოგადო ისე პოლიტიკური მოღვაწის. მოულოდნელათ ველოდი საიდან რა გზით დაიწყებოდა მისი მოღვაწეობა. ჩემ შთაბეჭდილებას ვუზიარებდი მეგობრებს და ისინიც მოუთმენლათ ელოდენ კოროლენკოს მოთხრობას „Слово“-ში.

დიდხანს არ დაგვჭირვებია ცდა. 1879 წელს ივლისში გამოვიდა ჟურნალ „Слово“-ს წიგნი სადაც მოთავსებული იყო ეს მოთხრობა. „Эпиз. изъ жизни искателя“.

ეს მოთხრობა, რასაკვირველია, ბევრ კამათს იწვევდა, თქმა არ უნდა, უნაკლულო არ იყო მხოლოდ ყველასათვის ცხადი იყო მისი სინამდვილე, ხელოვნური მასში ბევრი არასფერი იყო. ბევრი დააინტერესა ამ მოთხრობამ. და იმ დროს, როდესაც დაინტერესებული იყო როგორც მცოდნე პირნი მწერლობაში. ისე ჩვეულებრივი მკითხველი, ამ მოთხრობით, ავტორი მისი ორი თვით წინ, სანამ მოთხრობა დაიბეჭდებოდა გამოეთხოვა სატახტო ქალაქს. და სადღაც ვიატსკის გუბერნიაში ატარებდა მწარე დღეებს. ყოველ ახალ მოთხრობას მისას, რომელიც იბეჭდებოდა ჟურნალ „Дѣло“-ში თან მოყვებოდა ცნობა როგორ ათრევდენ მას ადგილიდან ადგილზე. მაგრამ სულით არ დაცემულა. რწმენა და სიყვარული სიცოცხლისადმი ძლიერი ქონდა, მაცოცხლებელ მზის სხივების მზგავსათ ათბობდა და აბრწყინებდა იგი მის დიდებულ სულს, რომელმაც არ იცოდა შური, სიძულვილი აშფოთება. მგრძნობიარე ახალგაზდობამ მაშინვე იცნო და დააფასა კოროლენკო. მან აღიარა ის თავის საყვარელ მწერლათ ბევრათ ადრე ვინემ მკითხველი საზოგადოება გაიცნობდა და მხურვალეთ შეიყვარებდა მას.

როდესაც კოროლენკო პეტერბურგს დაბრუნდა უხილავი დაფნის გვირგვინით შემკობილ მის გახსნილ შუბლს აქა-იქ ნაოჭები დადებოდა. გაბურძგულ ხუჭუჭა თმასა და წვერს ვეცხლის ძაფები გადახლართოდა. რა მძიმე გზა განვლო და რა კარგათ არის, ალტაცებით ვეუბნებოდი ერთს მეგობარს. იმიტომ რომ მუდამ შრომობდა შრომა კი ერთნაირი დასვენებაა—სულიერი კმაყოფილება—სულიერი კმაყოფილება—მითხრა მეგობარმა მასში მაღალი სული ტრიალებს, ის არაოდეს არ დაბერდება. რა სიმწელითაც უნდა იყოს მოცული ცხოვრება, შორს სადღაც მაინც გამოკიაფებს ნათელი წერტილები და ჩვენი დიდებული მწერლის მაღალ სულს სწამს მისი ძალა, მისი მომავალი განთიადი...

**თეოდ. ჯაავარიძისა.**

## გაუგებარი საქციელი.

„თქმა მართლისა სიმართლისა
ხესა შეიქმს ხმელსა ნედლათ“.

წასულ კვირას მე და სტ. მაჭავარიანი დავესწარით წ. კ. საზ. სამტრედიის განყოფილების გამგეობის კრებას, როგორც წარმომადგენელნი ეწრის საზოგადოების ნაწილისა და ვსთხოვეთ გამგეობას დავეხმარებოდა სამკითხველოს შენობის აგებაში.

დასვეს თუ არა საკითხი გამოსარკვევათ, გამგეობის წევრ-ა ბ-მა ნანეიშვილმა მოითხოვა ჩვენი გასვლა კრებიდან იმ მოსაზრებით, რომ ჩვენს წინააღმდეგ სალაპარაკო ქონდა. ამ წინადადებამ ბევრი გააკვირა. წინადადებას კენჭი უყარეს და ერთ ხმათ უარყვეს იგი. და ჩვენც დავრჩით კრებაზე.

დავრჩით და აქ გამოირკვა, თუ რათ არა სურდა ბ-ნს ნანეიშვილს ჩვენი კრებაზე დასწრება.

ბ. რაჟდენ! თქვენ ჩვენი ბიბლიოთეკის საქმეს წინააღუდექით. მოითხოვდით სადღაც, ვისთვისღაც აგეშენებიათ ისეთისთვის, ვისაც არც კი უთხოვნია თქვენთვის. თქვენ, როგორც გამგეობის წევრს უნდა გცოდნოდათ საქმის შინაარსი, და თუ არ იცოდით, თავმჯდომარისთვის უნდა მოგესმინათ განმარტება.

იმ ნებართვაში, რომელიც გამგეობამ აგვიღო, გარკვევით არის ნაჩვენები, თუ ვისთვის აგილიათ ნებართვა და ის საზღვრებიც, რომელშიც სამკითხველო უნდა დადგმულიყო. თუ გინდ ასეც არ იყოს, ერთი გვითხარით, წერა კითხვის გამგეობა ერევა ადგილის არჩევის საქმეში, თუ იქ აარსებს ან ხსნის სამკითხველოს, სადაც დაინტერესებული პირნი, მსურველნი ითხოვენ? როდესაც გამგეობამ ჩვენ ნებართვა ჩაგვაბარა, მათ ჩვენთვის ადგილი არ უჩვენებიათ, იმიტომ რომ დარწმუნებული იყვნენ. სამკითხველო აღნიშნული საზღვრების შუა ადგილზე დაიდგმებოდა. ყოველივე ეს თქვენ ნათლად აგიხსნათ ბ-ნმა თავმჯდომარემ, მაგრამ თქვენ მაინც თქვენსას გაიძახოდით. ასეთ საქციელს რა შეიძლება ვუწოდოთ თუ არა საქმის უცოდინარობა გაუგებრობა, ჯიუტობა?

**პოლიტეხ. ახვლედიანი.**

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ. რედაქტორო!**

გთხოვთ ამ მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ გაზეთ „იმერეთში.

ბ. სიმონ ფრუიძის წერილის გამო (112 ნუმერში „იმერეთისა„) შესახებ გაზეთების „დილიჟნების საშვალებით„ გზავნისა, ვაცხადებ რომ, დაკითხვა ჩემგან ნებართვაზე ზედმეტია· რადგან თვით ბ. ფრუიძემ და სხვა გაზეთების მიმღებლებმაც, აგრეთვე გამგზავნმა პატივცემულმა ის. კვიცარიძემ პირადი ჩემთან მოლაპარაკებით კარგათ იციან, რომ თანხმა ვარ „დილიჟნების „საშვალებით გაზეთები ვაგზავნო„ რასაც კაი ხანია ვასრულებ და აწიც ჩემს შრომას არ დავზოგავ, თუ ეს სადმე გამოსადეგი იქნება! ამას არავის ვამადლი, რადგან ჩემს თავს ზნეობრივათ მოვალეთ ვსთვლი; მხოლოდ ყუთებით საქმე არ მოგვარდება, თუ გულშემატკივარი კაცი არ ეყოლა. ეს რომ ასეა—ორმა შემთხვევამ დამარწმუნა: ალაპანაში „დილიჟნის„ დარაჯმა გაზეთები მიიტანა და რომ ჩამომრთმევი არ აღმოჩნდა, წესში თავი ამოაკრევია. და მეორე დღეს დაბრუნებისას გადასცა დავალებისამებრ. ყოველ სადგურზე ვისმე უნდა ქონდეს დავალებული გაზეთების მიღება, რომ ამით საყვედური აშორდეს მედილიჟნეს, რომელიც დანიშნულ დროზე მეტს ვერ იცდის და იძულებულია თან გაიყოლოს გაზეთი, თუ სხვა კორესპოდენციაც.

**იას. ახვლედიანი.**

**უკანასკნელი წინადადების პასუხი ბ. ა. ბოჭორიშვილს.**

ბ. ალექსანდრე! გეთანხმებით სამედიატორო სამართალზე. მედიატორეებათ ვასახელებ: ქ-ნ ცაცა დარახველიძის ასულს და პავლე კუბლაშვილს. მოწმებს რამდენსაც თქვენ წამოაყენებთ, იმდენივე უნდა იქნეს ჩემი მხრითაც, ხოლო არა უმეტესი 12-15 კაცისა, რომელთაც ფარული კენჭის ყრით უნდა ახსნან ჩვენი საქმე. გაბო ბოჭორიშვილის რწმუნებულობიდან გადაყენება არ შემიძლია, რადგან გარემოება ხელს არ მიწყობს. საქმე უნდა გაირჩეს ტყიბულში. ეს სიტყვები პირადათაც მოგახსენა ჩემმა რწმუნებულმა, მაგრამ პირადათ ლაპარაკი არ მიიღეთ, ამას თქვენი წერილიც ამტკიცებს, როგორც გაზეთში მოთავსებული ისე პირადათ გაბო ბოჭორიშვილზე მინაწერი. ჩემი პიროვნების გამოკვლევას ჯერ ნუ შეუდგებით, მერე გაიგებთ*)

**აპა.**

**„თანამედროვე ქვეყნის“ თანამშრომელთა საყურადღებოთ.**

„თანამედროვე ქვეყნის“ მე-11 ნომერში ვინმე X-ს წერილია მოთავსებული. ბ-ნი X თავის შენიშვნაში ცთილობს დაამტკიცოს, ვითომ მე 16 თებერვალს, ქართულ საღამოზე კიევში, ციტოვიჩის ოვაციაში მონაწილეობას ვღებულობდი,

საზოგადოთ, ცილის წამება ახალი ხილი არ არის ჩვენში და სწორეთ ამ სენით ძლიერ დაავადმყოფებულა ბ-ნი X-ც. რადგან არა მსურს ამ ცილისწამებაზე პასუხი გავსცე გაზეთის საშვალებით და მით მის ფურცლებს პატივი დამედო, ვიწვევ ბ ნ X სამედიატორო სამართალში, რომლის საშვალებით შეგვეძლება ორივე მხარეს თავის დებულების დამტკიცება, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული გავხდები ვუწოდო მას უსირცხვილო ჭორიკანა და ცილის მწამებელი.

**ლევან ქორქაშვილი.**

ს. გეგუთი.

*) ამ საგანზე დღეიდან ვსწობთ ჩვენს გაზეთში რაიმე ცნობის მოთავსებას. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ჭელიძე.

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

თფილისს: სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.
ბათომს: სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. სად.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. ღ.
ფოთს: საქ. რაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. სად.; სახ. 7 ს. 56 წ. სად.
შორაპანს: საავარ. 4 ს. 57 წ. დღ.
ტყიბულს: სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ... 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

თფილისიდან: სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 ... სად.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სად ... სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.
ბათომიდგან: ფოშტ. 1 ს. 20წ. დღ.; სახ. 11 ... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; ... 7 საათ. დილ-
ფოთიდან: საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ...
შორაპნიდან: საავ. 9 ს. 31 წ. დილ.
ტყიბულიდან: სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 1... საათ. 9 წ. დილ.

ქ. ქუთაისში (სობოროსთან

**ა. თაბაგარის მაღაზიაში**

**20 ივლისიდან დანიშნულია**

# დიდი იაფი ვაჭრობა

**ველოსიპედების და სხვ.**



ამასთანავე მიღებულია დიდძალი საკერი, საქსოვი და საწერი მაშინები გრამაფონები და მათი მოწყობილობა.

ფასები ძლიერ დაკლებულია

ჭრესილი. — სამკურნალო აბანო — მდიდრები მთის ძირზე — ძმ. ყორყოლაძეების — მშვენი ფრიად იხილეთ და დარწმუნდებით.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

# გ. მორდამის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქ... უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეზავ მალცევის ბემსკის მინ... ბას ქარხნის, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ქუთზენიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.

**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მახეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.